წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

სხდომის ოქმი N 17

ქ. წალენჯიხა 2022 წლის 15 ნოემბერი

2022 წლის 15 ნოემბერს გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია, ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი: ავთანდილ გაბელია, გიორგი დარსალია, მაია მიქავა, მანანა ჭანია, დავით ბელქანია, დათა კუკავა, დარეჯან დადიანი, ზაზა უბილავა, თენგიზ ფიფია, ბესიკ ფარცვანია, სოლომონ სარია,თემურ ქარდავა, ბაჩანა ქანთარია, რომან კვარაცხელია, ომარ ქარდავა, რაისა ჩანგელია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, მამუკა მიქავა, ეკა სამუშია, დათო მესხია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე. სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ივანე ბურდული, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე თამარ ბელქანია, მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თეა სარია, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ხელმძღვანელები, საკრებულოს აპარატის უფროსი-იზოლდა მოლაშხია და საკრებულოს აპარატის თანამშრომლები, .

სხდომა დაიწყო: 12^{00} სთ-ზე

სხდომა დასრულდა: 13^{00} საათზე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სხდომის დღის წესრიგის პროექტი. ღია კენჭისყრით, ერთხმად (მომხრე 24 დეპუტატი (კორნელი სალია, ავთანდილ გაბელია, გიორგი დარსალია, მაია მიქავა, მანანა ჭანია, დავით ბელქანია, დათა კუკავა, დარეჯან დადიანი, ზაზა უბილავა, თენგიზ ფიფია, ბესიკ ფარცვანია, სოლომონ სარია,თემურ ქარდავა, ბაჩანა ქანთარია, რომან კვარაცხელია, ომარ ქარდავა, რაისა ჩანგელია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, მამუკა მიქავა, ეკა სამუშია, დათო მესხია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე), წინააღმდეგი-არცერთი) დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1.,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 თებერვლის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: **თეა სარია,** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

2.„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 თებერვლის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: **გიორგი გოგიბერიძე,** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

3. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის თაობაზე საკითხებთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

მომხსენებელი: **კორნელი სალია,** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე საკრებულოს წევრმა თენგიზ ფიფიამ აღნიშნა, რომ სხდომების ხარისხიანად ტრანსლირებისთვის და ტექნიკური გამართულობისთვის აუცილებელია შესაბამისი აპარატურის შეძენა. გამოვყოთ ბიუჯეტიდან შესაბამისი თანხები რათა ეგ პრობლემა მოგვარდეს. მოსახლეობა ისმენს და თვალყურს ადევნებს საკრებულოს სხდომის მიმდინარეობას. ამ წინადადებას გამოეხმაურა საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია და აღნიშნა, რომ რამოდენიმეჯერ გამოცხადებული იყო ტენდერი სხდომათა დარბაზის საოფისე ინვენტარისა და მიკროფონების შეძენაზე, თუმცა არავინ შემოსულა წინადადებით, წერილიც გავაგზავნეთ ბაზრის კვლევაზე სააგენტოში და დღემდე პასუხი არ მიგვიღია. საჭიროებიდან გამომდინარე აღნიშნული საკითხი აუცილებელად მოსაგვარებელია.

მოისმინეს: 1. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 თებერვლის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საკითხი წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა თეა სარიამ. საკითხთან დაკავშირებით მან განმარტება გააკეთა, თუ რამ გამოიწვია 2022 წლის ბიუჯეტის ცვლილება და აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N51 განკარგულებით ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილებების დელეგირების შესახებ წალენჯიხის მუნიციპალიტეტისთვის საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შესყიდვისთვის წინა ცვლილებით ასახული თანხის მუნიციპალიტეტის მიერ მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების ღირებულების შესაბამისად გამოყოფილი თანხა , რომელიც ასახული იყო ბიუჯეტის შემოსულობების მიზნობრივი ტრანსფერის მუხლში შემცირდა 18,4 ათასი ლარით, ასევე ბიუჯეტის სხვა შემოსულობებში 7,0 ათასი ლარით გაიზარდა შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 16 სექტემბრის N1692 განკარგულების საფუძველზე მოხდა ნაშთის ცვლილება და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებებისთვის 55,8 ათასი ლარი აისახა ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერების მუხლში. საბოლოოდ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობები დაზუსტდა 44,4 ათასი ლარით და განისაზღვრა 21901,7 ათასი ლარის ოდენობით.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბაჩანა ქანთარიამ მომხსენებელს მიმართა კითხვით გათვალისწინებულ არის თუ არა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე გამოთქმული შენიშვნები, რაზეც მომხსენებელმა უპასუხა რომ, ოფიციალურად არანაირი შენიშვნის ჩამონათვალი არ მიგვიღია კომისიის სახელით.

მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე თამარ ბელქანია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გიორგი გოგიბერიძე,საკრებულოს აპარატის უფროსი-იზოლდა მოლაშხია, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებისა და საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომა დაიწყო: 11[00] სთ-ზე

სხდომა დასრულდა: 11[30] საათზე

მოისმინეს: 2. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 თებერვლის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საკითხი წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა გიორგი გოგიბერიძემ. მან საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 თებერვლის №7 დადგენილების 17[1] მუხლში შედის ცვლილებები, რომლითაც მარტივდება მძიმე საცხოვრისი პირობების მქონე მოქალაქეების განცხადების მიღება. ცვლილებების შედეგად მოქალაქეს მოუწევს წარმომადგენლის უშუალო ჩართულობით მისი ფაქტობრივი ცხოვრების დადასტურება, მოწმეების ჩართულობით. ცვლილებები იწვევს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დამატებით 35 ათასი ლარის გამოყოფას.

საკითხთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ თამარ ბელქანიამ და აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი არ არის მარტივი და უამრავი ნიუანსია გასათვალისწინებელი. ვცდილობთ რეალობას მოვარგოთ პროგრამა, რათა გაუმარტივდეს მოქალაქეს პროგრამაში ჩართვა. შესაბამის კომისიაზე განხილულია და ყველასთან შეჯერებულად არის ეს წესი შემუშავებული. ეს საპილოტე პროგრამაა და მომავალი წლისთვის ვაპირებთ უფრო დახვეწას და თანხის გაზრდასაც. 18 ოჯახში ვიყავით შემოწმებაზე და კიდევ ბევრი განცხადებაა შემოსული. ამ ეტაპზე განცხადების მიღება შეწყვეტილია, ვინაიდან უმრავლესობას აქვს პრობლემა სახლის ფაქტობრივ ფლობასთან და განმცხადებლის ოჯახის წევრებზე სხვა უძრავ ქონებასთან დაკავშირებით. სწორედ ამ პრობლემის გასწორებას ითვალისწინებს სოციალურ წესში ცვლილების შეტანა. მიმდინარე წელს იგეგმება 3 ოჯახისთვის დახმარება. ამ პროგრამის ბენეფიციარების შერჩევა ფარული კენჭისყრის პრინციპით მოხდება.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 20 დეპუტატი, (კორნელ სალია, ავთანდილ გაბელია,თემურ ქარდავა, რომან კვარაცხელია, ომარ ქარდავა, რაისა ჩანგელია, მამუკა მიქავა, ეკა სამუშია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, დათო მესხია, გიორგი დარსალია, მანანა ჭანია, ზაზა უბილავა, დავით ბელქანია, თენგიზ ფიფია, ნანა ლემონჯავა,მაია მიქავა, სოლომონ სარია, გონერ კვარაცხელია) წინააღმდეგი -არცერთი) მიღებულ იქნა „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 თებერვლის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილება N37.

საკრებულოს წევრმა ბესიკ ფარცვანიამ მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს მიმართა კითხვით, ზამთრის სეზონთან დაკავშირებით თანხას მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურს თუ რა ფორმით ურიცხავდნენ და რით აკონტროლებდნენ როგორ გაიხარჯა ეს თანხები? მანვე განაცხადა, რომ აღნიშნული სამსახური შესყიდვების სააგენტოს თანხმობის გარეშე აწარმოებს ტენდერებს. ბესიკ ფარცვანიამ ასევე დასვა შეკითხვები: რეგიონალური განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი მოწონებული პროექტები გაიგზავნა თუ არა და გუბერნიაში, თათბირზე რომელი პროექტები გავიდა? სოფლის პროგრამის თანადაფინანსებისთვის თანხები სად დაიხარჯა და წლის ბოლოსთვის იქნება თუ არა დაფარული? რაზეც მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ უპასუხა, რომ სოფლის პროგრამის თანადაფინანსებისთვის 240 ათასი ლარი იყო გათვალისწინებული და აქედან 51 ათასი ლარი გაიხარჯა, ერთი კვირის წინ მერიამ მიიღო შესასრულებელი სამუშაოების პროექტები და უახლოეს დღეებში გამოცხადდება ტენდერები. ი. ბურდულმა ამავე დროს აღნიშნა, რომ ზოგადად, აღნიშნული საკითხები დღის წესრიგით არ იხილება და ზემოაღნიშნულ საკითხებზე, კითხვებით შესაძლებელია მიემართოს მერიას და ყველაფერზე ოფიციალურად გაეცემათ პასუხი.

საკრებულოს წევრმა თენგიზ ფიფიამ მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს ივანე ბურდულს კითხვით მიმართა, რომ 5 სპორტული მოედნის პროექტები (საჩოგბურთო სკოლის მშენებლობა ვ. ჭანტურიას ქუჩაზე (ყოფილი მაიაკოვსკი); საფეხბურთო მინი სტადიონის მშენებლობა მეუნარგიას ქუჩაზე; საფეხბურთო მინი სტადიონის მშენებლობა ზღვაიას დასახლებაში; საფეხბურთო სტადიონის მშენებლობა ქვ. მაზანდარას უბანში; საფეხბურთო მინი სტადიონის მშენებლობა კვარაცხელიას ქუჩაზე) , რომლის დაფინანსებაზე იყო საუბარი, რატომ არ განხორციელდა. მან მოუწოდა საკრებულოს წევრებს ბიუჯეტის ცვლილებას ბაღების ნაწილში დათანხმებოდნენ, რათა არ მომხდარიყო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მუშაობის პროცესის შეფერხება და არ დაზარალებულიყვნენ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები. მერის პირველმა მოადგილემ თენგიზ ფიფიას მიერ დასახელებულ 5 პროექტზე აღნიშნა, რომ ესინი რეგის მიერ დასაფინანსებელი პროექტების ნუსხაშია შესული.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის" თავმჯდომარემ მაია მიქავამ, ფრაქციის სახელით განაცხადა, რომ ფრაქცია ამ ცვლილებას მხარს არ დაუჭერს, იმდენად რამდენადაც რა ცვლილებები ხორციელდება გაურკვეველი და ბუნდოვანია. საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარებისთვის და თუნდაც გენდერული საბჭოს მიერ შემუშავებული პროექტებისთვის გამოყოფილი თანხები სხვა მუხლში იქნა გადატანილი, რატომ გახდა ის მუხლები პრიორიტეტული გაურკვეველია, ამიტომ ფრაქცია მხოლოდ ბაღების ნაწილში დაუჭერს მხარს ბიუჯეტის ცვლილებას.

საკრებულოს წევრმა დარეჯან დადიანმა უკმაყოფილება გამოხატა ქ. ჯვართან დაკავშირებით. აღნიშნა, რომ ჯვარის პრობლემები იგნორირებულია, მხოლოდ ქ.წალენჯიხის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურს საახალწლო ღონისძიებებისათვის ერიცხება თანხა, მაშინ როცა ჯვარზე საერთოდ არ არის საუბარი. იგი დაეთანხმა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ბაჩანა ქანთარიას აზრს, მიიჩნია, რომ აუცილებლად უნდა გაგზავნილიყო მერიაში კომისიის ოქმი შენიშვნებით და გაგეთვალისწინებინათ გამოთქმული წინადადებები.

საკრებულოს ფრაქცია „წალენჯიხა-საქართველოსთვის" თავმჯდომარემ გონერ კვარაცხელიამ ფრაქციის სახელით გამოთქვა უკმაყოფილება სპორტული მოედნების პროექტებთან დაკავშირებით. 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცებისას გათვალისწინებულიყო ვ. ჭანტურიას ქუჩაზე (ყოფილი მაიაკოვსკი) სპორტული მოედნის მოწყობა. შემდგომ სხვა სპორტულ მოედნებზეც იყო თანხმობები. 75 ათასი ლარი იყო გამოყოფილი, რომელიც შემდეგში გაიზარდა. დღეს კი ბიუჯეტის პროექტში ეს თანხები არსად არ არის ნაჩვენები. მუნიციპალიტეტის მერიამ

თვითნებურად თანხები ამოიღო და სავარაუდოდ სხვა პროექტებში გადაანაწილა. აქედან გამომდინარე, აღინიშნა, რომ ფრაქცია „წალენჯიხა-საქართველოსთვის“ ბიუჯეტის ცვლილებას სრულად მხარს არ დაუჭერს, თანახმა იქნება ცვლილებაზე მხოლოდ ბაღების ნაწილში.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბაჩანა ქანთარიამ საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია პირობის დარღვევაში დაადანაშაულა (ჯვარის საპირფარეშოების მოწყობასთან დაკავშირებით) და საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ბიუჯეტის ამ ცვლილებით არაფინანსური აქტივების არამიზნობრივი კლება მოხდა. სიტყვის წარმოთქმის შემდეგ ბაჩანა ქანთარიამ პროტესტის ნიშნად დარბაზი დატოვა.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ავთანდილ გაბელიამ თავისი აზრი გამოხატა ბიუჯეტის მუხლობრივ კენჭისყრასთან დაკავშირებით და განმარტა რომ, პროცედურულად გაუმართლებელია საკითხის ცალ-ცალკე კენჭისყრა. აუცილებლად უნდა მოხდეს საკითხის სრულად კენჭისყრა. ყველას აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება , თუმცა რეგლამენტით დადგენილ პროცედურებს საკრებულო ვერ დაარღვევს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მერის პირველმა მოადგილემ ივანე ბურდულმა განმარტება გააკეთა და აღნიშნა, რომ ბიუჯეტის ცვლილებით 205 ათასი ლარის გადანაწილება ხდება ეკონომიის ფარგლებში, თუ საკრებულო თვლის, რომ მერიის მიერ შემუშავებული ბიუჯეტის ცვლილების პროექტი უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია, თანხები არასწორადაა გადანაწილებული, საკრებულომ დააყენოს მისი წინადადებები რასაც სწორად ჩათვლით, შეჯერდეს მერია და საკრებულო და ისე განისაზღვროს პრიორიტეტები. მთავარია მიღწეული იქნეს შეთანხმება, რათა ამ გაუგებრობით არ დაზარალდეს სხვა უფრო მნიშვნელოვანი საკითხები.

დღის წესრიგით განსაზღვრული პირველი საკითხის კენჭისყრის დაწყებამდე სხდომათა დარბაზი დატოვეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა თენგიზ ფიფიამ და დავით ბელქანია.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ბიუჯეტის ცვლილებებს წარმოდგენილი სახით მხარი დაუჭირა 10-მა დეპუტატი, (ავთანდილ გაბელია,თემურ ქარდავა, რომან კვარაცხელია, ომარ ქარდავა, რაისა ჩანგელია, მამუკა მიქავა, ეკა სამუშია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, დათო მესხია) წინააღმდეგი იყო 11-ი (კორნელი სალია, გიორგი დარსალია, მანანა ჭანია, ზაზა უბილავა, მაია მიქავა,დათა კუკავა, ბესიკ ფარცვანია, სოლომონ სარია,დარეჯან დადიანი, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე). ამრიგად, ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 თებერვლის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“დადგენილება არ იქნა მიღებული.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის განხილვამდე სხდომათა დარბაზი დატოვეს „ერთიანი ნაციონალურო მოძრაობის“ წევრებმა (ავთანდილ გაბელია,თემურ ქარდავა, რომან კვარაცხელია, ომარ ქარდავა, რაისა ჩანგელია, მამუკა მიქავა, ეკა სამუშია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, დათო მესხია).

ქვორუმის არარსებობის გამო საკრებულოს სხდომა გადაიდო.

2022 წლის 16 ნოემბერს გაგრძელდა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია, ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი: ავთანდილ გაბელია, გიორგი დარსალია, მაია მიქავა, მანანა ჭანია, დავით ბელქანია, ზაზა უბილავა, თენგიზ ფიფია, სოლომონ სარია, ნანა ლემონჯავა, თემურ ქარდავა, რომან კვარაცხელია, ომარ ქარდავა, რაისა ჩანგელია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, მამუკა მიქავა, ეკა სამუშია, დათო მესხია, გონერ კვარაცხელია. სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

მოისმინეს: 3. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს თავმჯდომარემ კორნელი სალიამ და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიამ წარმოადგინა მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი და პრიორიტეტების დოკუმენტი. მიმდინარე წლის 16 ნოემბრიდან დაიწყება ადმინისტრაციული წარმოება. დამტკიცებული გრაფიკით, საკრებულოს კომისიები განიხილავენ და კანონით დადგენილი ვადის ფარგლებში წარმოადგენენ შესაბამის დასკვნებს.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, განკარგულების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 20 დეპუტატი, (კორნელ სალია, ავთანდილ გაბელია,თემურ ქარდავა, რომან კვარაცხელია, ომარ ქარდავა, რაისა ჩანგელია, მამუკა მიქავა, ეკა სამუშია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, დათო მესხია, გიორგი დარსალია, მანანა ჭანია, ზაზა უბილავა, დავით ბელქანია, თენგიზ ფიფია, ნანა ლემონჯავა,მაია მიქავა, სოლომონ სარია, გონერ კვარაცხელია) წინააღმდეგი -არცერთი) მიღებულ იქნა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის თაობაზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე განკარგულება N50.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე კორნელი სალია